



**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „112“-ის დირექტორის**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

07/08/2012 წ.

თბილისი

N1044827

**მოსაკრებლის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური
ოდენობის განსაზღვრის შესახებ**

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის N1073 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „112“-ის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. განისაზღვროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „112“-ის მიერ წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის შემდეგი მინიმალური ოდენობა:

ა) A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი – 100 ფურცლამდე;

ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდილი ასლი – 100 ფურცლამდე.

2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია, ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში, საკუთარი ინიციატივით ან ფიზიკური პირის შუამდგომლობის საფუძველზე, პირის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით,

უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნ სუბიექტზე ინფორმაციის ერთჯერადად გაცემა საჯარო ინფორმაციის მოსაკრებლის გადახდის გარეშე.

3. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერა

მამია კომახია